ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლა, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრ(ებ)ი:

ნინო ვასაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	416306143

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი რუსთავი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. რუსთავი, გ. ნიკოლაძის 16ა
საფოსტო ინდექსი	3700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://mzekabani2.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gotsiridzebela@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 3 26 0000459606, 21.04.2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	24 აპრილი, 2026 წელი.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2026 წლის 21 აპრილის MES 3 26 0000459606 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის (შემდგომში -სკოლა) არა გეგმიური მონიტორინგი.

არა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, ცენტრში 2026 წლის 06 თებერვლის No130281 წერილით წარდგენილ კორესპონდენციაში ასახული გარემოების გამოკვლევა, შემოწმება და მათი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად ,, განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოობის უზრუნველყოფა.“

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმისა და განმცხადებლის მოთხოვნით ცენტრში წარმოდგენილი პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია არ იქნა გაზიარებული არც ექსპერტთა ჯგუფისთვის და არც სკოლისთვის, ამასთან ცენტრში წარდგენილი განცხადების ავტორი, მისი პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით, არ ჩაერთო პროცესში, შესაბამისად აღნიშნულ პირთან კომუნიკაცია არ შემდგარა.

ექპერტთა ჯგუფმა გასაუბრება ჩაატარა სკოლის ადმინისტრაციასთან, დაწყებითი კლასის მასწავლებელთან.

მონიტორინგის ფარგლებში, ადგილზე ვიზიტით შესწავლილი იქნა მე-4 სტანდარტის 4.1.2.1. და 4.1.2.2 და 4.2.3.1 ინდიკატორებთან დაკავშირებით სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაცია, განხორციელბული პროცესები და სკოლის პრაქტიკა.

ექსპერტთა ჯუფის მიერ მონიტორინგის შედეგები აისახა დასკვნაში. ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის გრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსო და დასკვნა დაიწერა თხრობითი სახით.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
100	79

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ 2026 წლის 15 მაისის N4/24 წერილით წარმოადგინა:

- *არგუმენტირებული პოზიცია;*
- *სტანდართან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;*
- *„სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი“ დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 მაისის N 2/23 ბრძანებით.*

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა და შეაფასა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და თანდართული დოკუმენტაცია, რის შედეგადაც მიიჩნევს რომ არგუმენტირებული პოზიცია არ უნდა იქნას გაზიარებული შემდეგი გარემოებების გამო:

არგუმენტირებული პოზიცია: *სკოლა გამოვლენილი ხარვეზების ძირითად მიზეზად ასახელებს ადმინისტრაციულ გარემოებებს, კერძოდ საკადრო დენადობას (HR და საქმისწარმოების მენეჯერის ხშირ ცვლილებას) და მცირე კონტინგენტიდან გამომდინარე მართვის სირთულეებს.*

შეფასება: *საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტი მოითხოვს სისტემურ, მდგრად, კანონმდებლობასთან სრულად თავსებად და უწყვეტ ფუნქციონირებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები აღნიშნულ მოთხოვნებს ვერ აბათილებს, ვინაიდან შიდა ორგანიზაციული თუ საკადრო გამოწვევები ვერ გახდება დაწესებულების არასათანადო მუშაობის დასაბუთებული საფუძველი.*

არგუმენტირებული პოზიცია: *დაწესებულება აღიარებს ხარვეზებს მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურებში და ვაუჩერული დაფინანსების შენარჩუნების ვადების დარღვევას. ამას ხსნის „უნებლიე ხასიათით“ (კადრების დენადობით) და გამოხატავს მზაობას ზედმეტად მიღებული ვაუჩერული დაფინანსების უკან დასაბრუნებლად.*

შეფასება: *საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს საქმისწარმოებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების უწყვეტობას, მიუხედავად საკადრო ცვლილებებისა. საკადრო რესურსის ხშირი გადინება წარმოადგენს სკოლის შიდა მენეჯმენტის რისკს და ვერ იქცევა კანონმდებლობის დარღვევის (განსაკუთრებით*

მოსწავლეთა უფლებების დარღვევის და ვაუჩერული დაფინანსების არამართზომიერი შენარჩუნების) გამამართლებელ საფუძვლად.

არგუმენტირებული პოზიცია: *სკოლა აღიარებს, რომ არ არსებობდა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი, თუმცა მიუთითებს, რომ პრაქტიკულად გადიოდნენ კონსულტაციებს და ჰყავთ სპეციალური მასწავლებლის ასისტენტი. აქვე აღნიშნავს, რომ ექსპერტთა მითითების შემდეგ მოამზადა და დაამტკიცა - ,,სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი.“*

შეფასება: *ექსპერტთა ჯგუფი აფასებს მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში არსებულ რეალურ მდგომარეობას, პრაქტიკას და მის მდგრადობას. მხოლოდ დოკუმენტის მომზადება და დამტკიცება (პოსტ-ფაქტუმ, გამოვლენილი ხარვეზების პასუხად) ვერ ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია და ფუნქციონირებს სსსმ მოსწავლეთა მრავალმხრივი შეფასებისა და მხარდაჭერის სისტემა.*

წარმოდგენილი არგუმენტები ატარებს მხოლოდ სამომავლო დაპირებებისა და გეგმების ხაისათს, რაც ვერ ჩაითვლება ხარვეზის აღმოფხვრის გზად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არგუმენტირებული პოზიცია არ იძლევა საფუძველს დასკვნის პროექტში დაფიქსირებული მიგნებებისა და შეფასებების შესაცვლელად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის IV სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის სტატუსის შეჩერების შიდა მექანიზმები არ არის გამჭვირვალე და მკაფიო, კერძოდ სკოლის მიერ დადგენილი პრაქტიკა არ არის შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, არ არის დადგენილი მშობლის/კანონიერი წარმომადგენილის პროცესში ჩართვის ფორმები, არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების ეტაპები, პასუხისმგებელი პირები, მშობლის წინასწარი ინფორმირების, გადაწყვეტილებების სავალდებულო დოკუმენტირების და დაარქივების წესი.
ინდიკატორი N4.1.2.2.	სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს	სკოლის მიერ არ არის დაცული მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, კერძოდ: ა) სკოლას, ერთი მოსწავლისათვის გაცდენების გამო სტატუსი უნდა შეეჩერებინა 2026 წლის 11 დეკემბერს, რაც არ გაუკეთებია. აღნიშნული მოსწავლე ამოირიცხა მოსწავლეთა სიიდან 2026 წლის 09 თებერვალს მობილობის წესით სხვა სკოლაში გადასვლის გამო. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ვაუჩერით გადარიცხული თანხის ოდენობა შეუნარჩუნდება:

		➢ 1 თებერვლამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 სექტემბრიდან 25 იანვრის ჩათვლით; ➢ 1 ივნისამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 იანვრიდან 10 მაისის ჩათვლით. აღნიშნული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდებოდა, მოქმედი კანომდებლობით დადგენილ ვადაში (2025-2026 სასწავლო წლის 11 დეკემბერს) სკოლას ვაუჩერი შეუნარჩუნდებოდა 2026 წლის 01 თებერვლამდე. ვინაიდან მოსწავლეს სტატუსი არ შეუჩერდა, მოქმედი კაონმდებლობით დადგენილ ვადში და მისი მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვა მოხდა 2026 წლის 09 თებერვალს (2026 წლის 25 იანვრის შემდგომ), სკოლას ვაუჩერი შეუნარჩუნდა 2026 წლის 01 ივნისამდე, რაც მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. ბ) სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის N2-32 ბრძანებით მე-10 კლასის მოსწავლეს შეჩერებული აქვს მოსწავლის სტატუსი, გაცდენების გამო. დოკუმენტური მტკიცებულებით ვერ დგინდება, რომ სკოლამ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოსწავლის სტატუსის შეჩერებამდე სცადა გაცდენის მიზეზების იდენტიფიცირება, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა ან მშობლის და მოსწავლის ჩართულობით პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განხილვა ან/და პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკის ჩართვა.

ინდიკატორი 4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	სკოლას იდენტიფიცირებული ჰყავს სხვადასხვა სირთულეების მქონე მოსწავლეები,რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული სსსმ მოსწავლის სტატუსი. ამასთან მოსწავლის მიერ გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით არ იკვეთება ინდივიდუალური საჭიროების შეფასების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) შემუშავების, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრისა (ისგ ჯგუფი) და სასწავლო პროცესში ადაპტაციის უზრუნველყოფის სისტემური პროცედურების განხორციელება. სკოლა ვალდებულია მსგავს შემთხვევებში განსაზღვროს და მიიღოს ყველა საჭირო ზომა მოსწავლის მიერ გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით, დანერგოს შესაბამისი პროცედურები, განახორციელოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება და საგანმანათლებო პროცესის ადაპტირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლისათვის თანაბარი და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა.

არაგეგმიური მონიტორინგის პროცესის აღწერა და ესპერტთა მიგნებები

- **შესავალი**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2023 წლის 04 აპრილის გადაწყვეტილებით სკოლას მინიჭებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი 6 წლის ავდით.
საბჭოს ამავე გადაწყვეტილებით, დაწესებულებაში უნდა განხორციელებულიყო მონიტორინგი 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ, მოქმედი ოთხი სტანდარტის მიხედვით.
აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად სკოლის გეგმიური მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებულია 2024 წლის ნოემბერში.
ზემოაღნიშნული მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით (2025 წლის 29 იანვრის MES 8 25 0000074537 გადაწყვეტილება) მიმართა ცენტრს მონიტორინგის (განმეორებით) განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2027 წლის იანვრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - სრული მონიტორინგი.
მოცემულ შემთხვევაში არაგეგმიური მინიტორინგის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს ცენტრში 2026 წლის 06 თებერვლის N130281 წერილით წარდგენილი კორესპონდენცია, რომელიც ეხება სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა-ამორიცხვისა და სტატუსის შეჩერების პროცედურების სავარაუდო უგულებელყოფას.
როგორც კორესპონდენციაშია ასახული მოსწავლეს აქვს სპეციალური საგანმანათლებო საჭიროება, 2025 წლის 1 ოქტომბრიდან სკოლაში აღარ გამოცხადებულა, თუმცა მას არ აქვს შეჩერებული მოსწავლის სტატუსი.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული შემოწმებით დადგინდა, რომ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (Eschool) მონაცემებით, მოსწავლის ჩარიცხვა განხორციელებულია 2025 წლის 2 სექტემბერს, ხოლო 2025 წლის 8 სექტემბერსა და 2026 წლის 10 იანვარს განხორციელებულია ჩანაწერები კლასში განაწილებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს სკოლისთვის ვაუჩერული დაფინანსების მიღების საფუძველს.
სკოლაში არაგეგმიური მონუტორინგის ვიზიტი განხორციელდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 21 აპრილის MES 3 26 0000459606 ბრძანების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ექსპერტა ჯგუფს დაევალა ცენტრში 2026 წლის 06 თებერვლის No130281 წერილით წარდგენილ კორესპონდენციაში, ასახული გარემოების

გამოკვლევა, შემოწმება და მათი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.
არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების ფარგლებიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა:

- მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის შიდა რეგულაციები და პროცესები;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები და პროცესები;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები და პროცესები;
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი და პროცესები.

- **ექსპერტთა ჯგუფის მიგნებები**

➢ **მიგნებების საფუძველს წარმოადგენს შემდეგი მტკიცებულებები და პროცესები:**

✓ სკოლის შინაგანაწესი;
✓ სკოლასა და მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ;
✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა მექანიზმები და აღნიშნული მექანიზმების შედეგად განხორციელბული პროცესების ანალიზი;
✓ მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, სტატუსის შეწყვტის, შეჩერებისა და მობილობის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანებები;
✓ მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი/პროცესის განხორციელება;
✓ მოსწავლის კონსულტაციისა და მხარდაჭერის მექანიზმები (აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად);
✓ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექნიზმების არსებობა და განხორციელებული პროცესები;
✓ მშობლის ინფორმირების წერილები, შიდა დოკუმენტაცია, მოსწავლის მიერ გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაში სკოლის მიერ განხორციელებული ქმედებები;
✓ სსსმ მოსწავლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების არსებობა;

- ✓ სკოლის ელექტრონული ჟურნალის წარმოების პროცესების და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაცული მონაცემების შესწავლა.

- ➢ **სკოლის შიდა რეგულაციების და განხორციელებული პროცესების შესწავლის შედეგად დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები:**

- ✓ ერთი მოსწავლე 2025 წლის 15 სექტემბრიდან, 2026 წლის 09 თებერვლამდე ირიცხებოდა შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის მოსწავლეთა სიაში;
- ✓ სკოლას არ განუხორციელებია მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირება;
- ✓ არ განხორციელებულა მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა
- ✓ მოსწავლეს არ ჰქონდა მინიჭებული სსსმ მოსწავლის სტატუსი;
- ✓ სკოლის მიერ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, შემუშავებული იქნა მონიტორინგის ვიზიტის შემდეგომ (წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად);
- ✓ მოსწავლე სკოლაში არ გამოცხადებულა 2026 წლის 08 ოქტომრიდან;
- ✓ მოსწავლე სკოლაში არ გამოცხადებულა ზედიზედ 45 სასწავლო დღის განმავლობაში და არ მიუღია შეფასება;
- ✓ მოსწავლის მიერ ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის მიუხედავად, სკოლას არ მოუმზადებია წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ;
- ✓ ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, სკოლას მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, არ მიუმართავს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკისთვის;
- ✓ სკოლას, აღნიშნული მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია
- ✓ აღნიშნული მოსწავლე, მშობლის 2026 წლის 09 თებერვლის განცხადების საფუძველზე სხვა სკოლაში გადავიდა მობილობის წესით.
- ✓ მშობლის მიერ სკოლაში წარდგენილი განცხადება, მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის წესით გადასვლასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა იმავე დღეს, 2026 წლის 09 თებერვალს.
- ✓ სხვა შემთხვევაშიც მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ადმინსიტრაციული წარმობა სკოლის მიერ განხორციელებულია მოქმედი კანომდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად.

- **პროცესების შეფასება**

➢ **შეფასების სამართლებრივი კრიტერიუმები**

შეფასება ეფუძნება სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის ზოგადი განათლების სფეროს მარეგულირებელი ნორმებითა და მოსწავლეთა უფლებების დაცვის სტანდარტებით. აღნიშნული კრიტერიუმი გამოყენებულია იმისთვის, რომ ობიექტურად შეფასდეს, რამდენად უზრუნველყოფს სკოლა მოსწავლეთა უფლებების დაცვას, მათ შორის თანასწორ და ღირსეულ საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.
შეფასება განხორციელდა შემდეგი საკანონმდებლო და კანონმქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე:

ა) **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,, ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“** მე-9 მუხლის პირველი პუქნტის თანახმად, სკოლა ვალდებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ: ,,მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში და არ იღებს შეფასებას.

მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, სკოლა ვალდებულია განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელმა მოამზადოს წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს, ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მასთან რეფერირებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ახორციელებს ვიზიტს ოჯახში დამრიგებლის მიერ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დასადგენად და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შესაფასებლად.
მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სკოლა ვალდებულია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.“

ბ) **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13/ნ/N29 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვაუჩერის გაცემისა და გადატანის წესის“** მე-6 მუხლის თანახმად:
,,მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ვაუჩერის გადარიცხული თანხის ოდენობა შეუნარჩუნდება:

1 ოქტომბრამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა იმავე კალენდარული 11 მაისიდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

1 თებერვლამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 სექტემბრიდან 25 იანვრის ჩათვლით;

1 ივნისამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 იანვრიდან 10 მაისის ჩათვლით.“

გ) **,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად** ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, შექმნას ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები.“

დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის“
მე-3 მუხლის თანახმად:
,,სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის რეგისტრაციისას პირის კანონიერი წარმომადგენელი უთითებს პირის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაზე და მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების მოთხოვნის მიზნით ავსებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მომართვის ფორმას, რომელსაც დაურთავს შესაბამის დოკუმენტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მომართვას და თანდართულ დოკუმენტებს სკოლა უგზავნის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს 2 სამუშაო დღის ვადაში.“
მე-6 მუხლის თანახმად:
,, იმ შემთხვევაში, თუ საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეს თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და მისთვის საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია

ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება, საგნის მასწავლებელი ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის კლასის დამრიგებელს (საგნის მასწავლებლის შემთხვევაში) და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ შესაბამის სპეციალისტებს (სკოლაში ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე სკოლის დირექციას.
აღნიშნულ ინფორმაციას სკოლის დირექცია აწვდის მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და ორგანიზებას უწევს მოსწავლის კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექციის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა (სკოლაში ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის შეხვედრას.
მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების შემთხვევაში, მოსწავლის კლასის დამრიგებელი მიმართავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ შესაბამის სპეციალისტებს (სკოლაში ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის შესახებ წერილობითი რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე.“
მე-7 მუხლის თანახმად:
,, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული შესაბამისი სპეციალისტები (სკოლაში ასეთის არსებობის შემთხვევაში) საგნის მასწავლებლებთან/კლასის დამრიგებელთან ერთად, მე-6 მუხლით გათვალისწინებული მიმართვის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, აფასებენ მოსწავლის მოტორულ, კოგნიტურ, ფსიქოემოციურ, აკადემიურ, კომუნიკაციურ, სოციალურ, ქცევით, ფუნქციურ უნარებს და მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით შეიმუშავებენ რეკომენდაციებს მასწავლებლის/მასწავლებლების, კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექციისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის წარსადგენად.
იმ სკოლაში, სადაც არ არის გათვალისწინებული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საშტატო ერთეული, მასწავლებელი/მასწავლებლები/კლასის დამრიგებელი თავად განსაზღვრავს/განსაზღვრავენ და იღებს/იღებენ ზომებს მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის, კლასის დამრიგებლის (მასწავლებლის შემთხვევაში) და სკოლის დირექციის წარმომადგენლის ჩართულობით.“

- **შეფასების შედეგები**

პროცესების შესწავლით დგინდება შემდეგი:
სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის N2-49 ბრძანებით პირველ კლსაში ჩარიცხულია მოსწავლე, რომლის მშობელთანაც გაფორმებულია საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება.

აღნიშნული მოსწავლე სკოლის დირექტორის 2026 წლის 09 თებერვლის N2-03 ბრძანებით, ამორიცხულია მოსწავლეთა სიიდან, სხვა სკოლაში გადასვლის გამო.
აღნიშნული მოსწავლე 2025 წლის 01 ოქტომბრიდან არ გამოცხადებულა სკოლაში და არ აქვს შეჩერებული მოსწავლის სტატუსი.
არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს შემოწმდა ელექტრონული ჟურნალი, რომელშიც არ ინახებოდა ინფორმაცია მობილობის წესით სხვა სკოლაში გადასული მოსწავლეების შესეხებ. (მონაცემები არ იყო დაარქივებული)
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტა ჯგუფმა გაესაუბრა სკოლის დირექტორს, ადმინისტრაციას და დაწყებითი კლასების მასწავლებელს/დამრიგებელს.
გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლას სტელეფონო კომუნიკაცია ჰქონდა მოსწავლის მშობელთან, რომლესაც ეცნობა მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობასთან დაკავშირებული შედეგების თაობაზე და ეთხოვა, რომ უზრუნველეყო მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით აღნიშნულის თაობაზე მშობელთან გაგზავნილი ჰქონდათ წერილობითი შეტყობინებაც, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.
სკოლის დირექტორის მიერ აღინიშნა, რომ ,,ფაქტთან დაკავშირებით, ასევე ეცნობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ცხელის ხაზის მეშვეობით და ქალაქ რუსთავის რესურსცენტრს, მაგრამ ეს ყველაფერი გაიწელა დროში და დაირღვა კანონი მოსწავლის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით.“
სკოლა, ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციით, ადასტურებს მოსწავლის სტატუსის შეჩერების ვადებთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევის ფაქტს.
დაწყებითი კლასის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი იქნა ჩანაწერი, სადაც აღნუსხულია ინფორმაცია საგაკვეთილო პროცესზე მოსწავლეთა დასწრების თაობაზე, აღნიშნული ჩანაწერით დგინდება, რომ მოსწავლე სკოლაში არ გამოცხადებულა 2025 წლის 08 ოქტომბრიდან. ამასთან სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მოსწავლის მშობელს სკოლასთან ჰქონდა შრომითი ურთიერთობა, რომელიც შეწყვეტილია დასაქმებულის ინიციატივით, 2026 წლის 06 ოქტომბერს სკოლაში წარდგენილი პირადი განცხადებისა და სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 ოქტომბერს გამოცემული N1-44 ბრძანების საფუძველზე.
ექსპერტთა ჯგუფმა სკოლაში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგთან გასაუბრების შედეგების, წარმოდგენელი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ სკოლა ვალდებული იყო მოსწავლისათვის სტატუსი შეეჩერებინა 2025 წლის 11 დეკემბერს (08.10.2025 – 11.12.2025 წ) მოსწავლის ზედიზედ 45 სასწავლო დღის განმავლობაში სასწავლო პროცესში არ ჩართვის გამო, ამასთან სკოლა ვალდებული იყო მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარემართა მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცესი და ეწარმოებინა დოკუმენტაცია, რომელითაც დადასტურებოდა სკოლის ძალისხმევა მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ.

ამასთან აღსანიშნავია, კიდევ ერთი გარემოება, რომ სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის N2-32 ბრძანების საფუძველზე მე-10 კლასის მოსწავლეს შეჩერებული აქვს მოსწავლის სტატუსი, გაცდენების გამო. მოცემულ შემთხვევაშიც მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცესი განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაუცველად.
სკოლის ადმინისტრაციასთან, დაწყებითი კლასის მაწავლებელთან გასაუბრებით და მოსწავლეთა პირად საქმეში განთავსებული ჯანმრთელობის შესახებ ცნობებით იკვეთება, რომ სკოლაში ირიცხება ისეთი მოსწავლეები, რომელთაც გარკვეული სირთულეები აქვთ თანატოლებთან შედარებით და მათთვის საჭიროა სასკოლო სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.
სკოლა ამ მიმართულებით ახორციელებს გარკვეულ სამუშაოებს, კერძოდ სკოლის შენობაში მოწყობილია რესურსოთახი, საშტატო განრიგით გათვალისიწინებულია სსსმ მოსწავლის ასისტენტი, შემუშავებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, თუმცა სკოლას არ აქვს განხორციელებული მოსწავლის შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასება. არ აქვს დადგენილი თუ კონკრეტულად რა სახის სირთულეები აქვთ მოსწავლეებს თანატოლებთან შედარებით, არ არის განსაზღვრული მათი საჭიროებები, არ არის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

- **დასკვნა**

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში გაანალიზდა საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტაცია, სკოლის შიდა რეგულაციები და სკოლის ადმინისტრაციასთან, დაწყებითი კლასის პედაგოგთან კომუნიკაციის შედეგები.
შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედი პრაქტიკა, განხორციელებეული პროცესები არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ გამოიკვეთა რიგი ხარვეზები, რომელიც უკავშირდება, ავტორიზაციის მე-4 სტანდარტით დადგენილი ცალკეული მოთხოვნების შეუსრულებლობას, კერძოდ:

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
ინდიკატორი - 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ა) 4.1.2.1. - სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,, მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. თუმცა მისი შინაარსი არ არის მორგებული სკოლის შიდა საჭიროებაზე.
მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოსწავლის სტატუსის შეჩერება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს კანონით განსაზღვრულ საფუძვლებს. პროცესი უნდა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი, გამჭვირვალე და მკაფიო პროცედურების დაცვით. აღნიშნული პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვას და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას.
სტანდარტის ინდიკატორით დადგენილი მოთხოვნაა, რომ სკოლამ შიდა რეგულაციებით დააკონკრეტოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჩარჩო და უზრუნველყოს მისი პრაქტიკაში ერთგვაროვანი, თანიმდევრული და დასაბუთებული გამოყენება.
სკოლის შიდა რეგულაციაში, მხოლოდ ნორმატიული აქტის გადმოტანა ვერ უზრუნველყოფს პროცესის ეფექტიან, სამართლიან და გამჭვირვალე განხორციელებას, თუ იგი არ გამყარდა შიდა კონკრეტული პროცედურული მექანიზმებით.
სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის სტატუსის შეჩერების შიდა მექანიზმები არ არის გამჭვირვალე და მკაფიო, კერძოდ სკოლის მიერ დადგენილი პრაქტიკა არ არის შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, არ არის დადგენილი მშობლის/კანონიერი წარმომადგენილის პროცესში ჩართვის ფორმები, არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების ეტაპები, პასუხისმგებელი პირები, მშობლის წინასწარი ინფორმირების, გადაწყვეტილებების სავალდებულო დოკუმენტირების და დაარქივების წესი.
დასკვნა: ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

ბ) 4.1.2.2. - სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლის მიერ არ არის დაცული მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, კერძოდ:
ა) სკოლას ერთი მოსწავლისათვის სტატუსი უნდა შეეჩერებინა 2026 წლის 11 დეკემბერს, რაც არ გაუკეთებია. აღნიშნული მოსწავლე ამოირიცხა მოსწავლეთა სიიდან 2026 წლის 09 თებერვალს მობილობის წესით სხვა სკოლაში გადასვლის გამო.
მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ვაუჩერის გადარიცხული თანხის ოდენობა შეუნარჩუნდება:

- 1 თებერვლამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 სექტემბრიდან 25 იანვრის ჩათვლით;
- 1 ივნისამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 იანვრიდან 10 მაისის ჩათვლით.

აღნიშნული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდებოდა, მოქმედი კანომდებლობით დადგენილ ვადაში (2025-2026 სასწავლო წლის 11 დეკემბერს) სკოლას ვაუჩერი შეუნარჩუნდებოდა 2026 წლის 01 თებერვლამდე.
ვინაიდან მოსწავლეს სტატუსი არ შეუჩერდა, მოქმედი კაონმდებლობით დადგენილ ვადში და მისი მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვა მოხდა 2026 წლის 09 თებერვალს (2026 წლის 25 იანვრის შემდგომ), სკოლას ვაუჩერი შეუნარჩუნდა 2026 წლის 01 ივნისამდე, რაც მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.
ბ) სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის N2-32 ბრძანებით მე-10 კლასის მოსწავლეს შეჩერებული აქვს მოსწავლის სტატუსი, გაცდენების გამო. დოკუმენტური მტკიცებულებით ვერ დგინდება, რომ სკოლამ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოსწავლის სტატუსის შეჩერებამდე სცადა გაცდენის მიზეზების იდენტიფიცირება, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა ან მშობლის და მოსწავლის ჩართულობით პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განხილვა. სკოლა ვალდებული იყო მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარემართა მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის პროცესი და ეწარმოებინა დოკუმენტაცია, რომელითაც დადასტურებოდა სკოლის ძალისხმევა მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ.
დასკვნა: ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

ინდიკატორი - 4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

გ) 4.2.3.1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სტანდარტის ინდიკატორით დადგენილი მოთხოვნა, სკოლას ავალდებულებს შემუშავებული ჰოქნდეს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, მიუხედავად იმისა, სკოლაში ოფიციალურად ირიცხება თუ არა სსსმ მოსწავლე, რადგან:

- სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის (მათ შორის პოტენციური მოსწავლისათვის);
- ინკლუზიური განათლების პრინციპი გლისხმობს სკოლის წინასწარ მზადყოფნას და არა რეაგირებას მხოლოდ ფაქტის დადგომის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის ვიზიტის შემდგომ სკოლამ შეიმუშავა - სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, კვლავ არ იკვეთება სკოლის პრაქტიკა, რამდენად უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის სისტემურ მართვას.

მოსწავლეთა პირადი საქმეების შესწავლით და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას იდენტიფიცირებული ჰყავს სხვადასხვა სირთულეების მქონე მოსწავლეები, თუმცა არ არის შეფასებული მოსწავლის მოტორული, კოგნიტური, ფსიქოემოციური, აკადემიური, კომუნიკაციური, სოციალური, ქცევითი, ფუნქციური უნარები და შესაბამისად არ არის შემუშავებული მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით რეკომენდაციები.

სკოლა ვალდებულია მსგავს შემთხვევებში განსაზღვროს და მიიღოს ყველა საჭირო ზომა მოსწავლის მიერ გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით, დანერგოს შესაბამისი პროცედურები, განახორციელოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება და საგანმანათლებო პროცესის ადაპტირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლისათვის თანაბარი და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა.

დასკვნა: ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

თარიღი: 18.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: